DRC
დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER

ქონებრივი დავების გადაწყვეტა

სარჩევი

შესავალი 2

არბიტრაჟის უპირატესობა 3

DRC-ის არბიტრაჟი: განმასხვავებელი ნიშნები 6

საარბიტრაჟო შეთანხმების შედგენა 10

საარბიტრაჟო პროცესი DRC-ის წესების შესაბამისად 11

შესავალი

DRC-იმ განიხილა 600-ზე მეტი დავა, რომელთა განხილვაში მონაწილეობა მიიღო 28 არბიტრმა

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „დავების განმხილველი ცენტრი“ შეიქმნა 2008 წელს და დროის მოკლე პერიოდში შეძლო სწრაფად განვითარებულიყო და თავი დაემკვიდრებინა, როგორც სტაბილურ და სანდო ორგანიზაციას ბიზნეს დავების გადაწყვეტის სფეროში.

არბიტრაჟი წარმოადგენს დავების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტურ საშუალებას და შესაბამისად ის პრევენციაა მხარეებისათვის თავიდან აიცილონ შესაძლო დავები. DRC-იმ განიხილა 600-ზე მეტი საქმე, რომელთაგან უმეტესობა საკრედიტო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს წარმოადგენს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ არბიტრაჟი მომხიბვლელი და საინტერესო იქნება სხვა ბიზნესებისათვისაც, როგორც დავების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური საშუალება.

DRC-იმ შეძლო გადაელახა ის მენტალური პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელია ქართული საზოგადოებისათვის და მათ შორის კორპორატიული კლიენტებისათვის, კერძოდ ნდობის ფაქტორი პროფესიონალიზმის, დავების გონივრულად და სამართლიანად გადაწყვეტის საკითხებში. DRC-სთან თანამშრომლობს ყველაზე მეტი რიცხვი არბიტრების, რომელთაც გააჩნიათ კარგი რეპუტაცია, თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

DRC ცდილობს იყოს გამჭვირვალე კომპანია და თავის კლიენტებს სთავაზობს დავების განხილვის მოქნილ პროცედურებს, რაც მნიშვნელოვნად გამოკვეთს არბიტრაჟში დავების გადაწყვეტის ისეთ უპირატესობებს, როგორიცაა: სისწრაფე, სიიაფე, კონფიდენციალურობა, არბიტრების არჩევითობა, არბიტრაჟის ადგილის, საარბიტრაჟო განხილვის ენის და, უფრო მეტიც, გამოსაყენებლი სამართლის ნორმების არჩევითობა.

ამ ბროშურის მიზანია ნათლად წარმოაჩინოს ის უპირატესობები, რაც გააჩნია DRC-ის დავების გადაწყვეტის მომსახურებაში.

საარბიტრაჟო განხილვის უპირატესობები

არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს მეტი საერთაშორისო აღიარება აქვთ ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებებს

დავების საარბიტრაჟო წესით გადაწყვეტა სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოში და ეს პროცესი მომავალში უფრო ინტენსიურად წარიმართება, რის საფუძველსაც გვაძლევს ბიზნეს დავების გადაწყვეტის საერთაშორისო პრაქტიკა.

ეს პოპულარობა განაპირობა არბიტრაჟის გამოკვეთილმა უპირატესობებმა:

საბოლოო, ფინალური გადაწყვეტილება

დავაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღწევა მხოლოდ სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის მეშვეობით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ჩვეულებრივ არ ექვემდებარება გასაჩივრებას და გაცილებით მეტი ვარაუდი არსებობს იმისა, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება იქნება უფრო ხშირად საბოლოო, ვიდრე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შესაძლოა მოხდეს არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრებაც, მაგრამ მისი გადასინჯვა შესაძლოა მოხდეს კანონით განსაზღვრული საკმაოდ შეზღუდული საფუძვლების შემთხვევაში.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საერთაშორისო აღიარება

არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს გააჩნიათ მეტი საერთაშორისო აღიარება, ვიდრე სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. 140-ზე მეტი ქვეყანა მიუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1958 წლის ხელშეკრულებას უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (ნიუ-იორკის ხელშეკრულება).

ნეიტრალიტეტი

საარბიტრაჟო განხილვისას მხარეებს აქვთ თანაბარი უფლებები და ბევრი საკითხი წყდება მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით, მაგალითად:

1. არბიტრაჟის ადგილი
2. განხილვის ენა
3. გამოსაყენებელი სამართლის ნორმები
4. არბიტრების რაოდენობა

დამატებით მხარეებს აქვთ თავისუფლება საარბიტრაჟო შეთანხმებით დაადგინონ საარბიტრაჟო განხილვის წესები იმ პირობით, რომ მხარეებს არ ჩააყენებს არათანაბარ მდგომარეობაში.

არბიტრების კვალიფიკაცია

არბიტრაჟი უფრო სწრაფი და ნაკლებ ხარჯიანია

არბიტრაჟი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას თვითონ აირჩიონ არბიტრები, მთავარია ისინი იყვნენ დამოუკიდებელი პირები. ამით მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა დავა გადაწყვიტონ არბიტრებმა, რომელთაც აქვთ სპეციალური კომპეტენცია შესაბამის სფეროში.

სისწრაფე და ეკონომია

არბიტრაჟი უფრო სწრაფი და უფრო იაფია ვიდრე სასამართლო. თუმცა შესაძლოა ზოგჯერ გარკვეული საქმის განხილვა მნიშვნელოვან დროსთან და ხარჯთან იყოს დაკავშირებული. ამასთან, ის გარემოება, რომ ნაკლები შესაძლებლობა არსებობს გასაჩივრდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მას მაინც ანიჭებს სისწრაფისა და სიიაფის მხრივ უპირატესობას. სულ ცოტა არსებობს გარანტია, რომ მხარე არ იქნება ჩათრეული საქმის განხილვაში სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში. გარდა ამისა, არბიტრაჟი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის ცალკეულ წესებზე, რაც მისცემს მათ საშუალებას დავა გადაწყდეს სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით. DRC-ი აღწევს დავების გადაწყვეტას ორი თვის განმავლობაში.

ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია

კონფიდენციალურობა

საარბიტრაჟო განხილვა დახურულია და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გადაეცემათ მხოლოდ მხარეებს.

ნიუ-იორკის ხელშეკრულება უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღიარების შესახებ მიღებული იქნა 1958 წლის 10 ივნისს. ეს კონვენცია ყველაზე მნიშვნელოვანი მრავალმხრივი ხელშეკრულებაა საერთაშორისო არბიტრაჟთან დაკავშირებით. ძირითადად, ამ კონვენციით მისი მონაწილე ქვეყნის სასამართლოებს მოეთხოვებათ:

- ცნონ წერილობით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმებები და არ განიხილონ ის დავები, რომლებზეც საარბიტრაჟო განხილვაა შეთანხმებული.
- ცნონ და მიაქციონ აღსასრულებლად უცხოეთის არბიტრაჟის გადაწყვეტილებები.

მხარეებს ვურჩევთ მანამ, სანამ გააფორმებენ საარბიტრაჟო შეთანხმებას, შეამოწმონ არის თუ არა მიერთებული ის ქვეყანა, სადაც უნდა მოხდეს საარბიტრაჟო განხილვა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, ნიუ-იორკის კონვენციას ან არბიტრაჟთან დაკავშირებით სხვა ორმხრივ ან მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც იძლევა იგივე გარანტიებს.

DRC-ის სასამართლო: განმასხვავებელი ნიშნები

DRC-ის სტრუქტურა შედგება კომპანიის დირექტორის, სასამართლოს და კანცელარიისაგან

DRC-ის დირექტორატი

DRC-ის დირექტორატი უზრუნველყოფს საარბიტრაჟო განხილვისათვის ოფისის გამართულ ფუნქციონირებას, DRC-ის სასამართლოსა და არბიტრებისათვის სამუშაო პირობების შექმნას, ახორციელებს კომპანიის მართვას. დირექტორატი არ ერევა საარბიტრაჟო განხილვის პროცესში.

DRC-ის სასამართლო

DRC-ის სასამართლოს ძირითადი ფუნქციებია: არბიტრების დანიშვნა, მათი შეცვლა, არბიტრაჟის დებულებაში ცვლილებების ინიცირება, დავის განხილვის პროცედურების დაცვაზე მონიტორინგი, ტექნიკური შემოწმება.

DRC-ის კანცელარია

DRC-ის კანცელარია ყოველდღიურად აწარმოებს ზედამხედველობას წარმოებაში მყოფ სულ ცოტა 50 საქმეზე და წარმოადგენს დოკუმენტბრუნვის პროცესში შუამავალ რგოლს მხარეებს, DRC-ის სასამართლოსა და არბიტრებს შორის.

არბიტრების დანიშვნა

DRC-ის საქმის წარმოების წესების (დებულების) შესაბამისად ნებისმიერი საქმე განიხილება ერთი ან სამი არბიტრის მიერ. როცა დავა იხილება ერთი არბიტრის მიერ მას ნიშნავს DRC-ის სასამართლო. ხოლო, როცა საქმე განხილულ უნდა იქნას სამი არბიტრის მიერ, ერთ კანდიდატურას წარადგენს ერთი მხარე, ხოლო მეორეს - მეორე მხარე. მესამე არბიტრს (საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს) ნიშნავს DRC-ის სასამართლო.

მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრონ რომ საარბიტრაჟო განხილვა გაიმართება DRC-ის სასამართლოს მიერ, ან შეუძლიათ არ მიუთითონ კონკრეტული მუდმივმოქმედი არბიტრაჟი და დავების გადაწყვეტა მიანდონ მხარეთა მიერ სპეციალურად შექმნილ არბიტრაჟს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში წარმოიშობა, როგორც არბიტრაჟის ფორმირების, ასევე საარბიტრაჟო განხილვის პროცესის რეგულირების პრობლემები. მათი გადაჭრის მიზნით მხარეებს ხშირად მოუწევთ სახელმწიფო სასამართლოსათვის მიმართვა. ასეთი საკითხები შესაძლოა იყოს არბიტრების დანიშვნა, არბიტრების აცილება, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა, და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ DRC-ს მიერ საარბიტრაჟო დავის განხილვა განპირობებულია გარკვეულ ხარჯთან, რომლითაც გარდა არბიტრების საზღაურისა ხდება კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვაც, ეს სრულიად კომპენსირებადია იმ ფუნქციებით, რომელსაც DRC ასრულებს. DRC-ის სასამართლოს ფუნქციები მიმართულია იქეთკენ, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს სახელმწიფო სასამართლოს ჩარევის გარეშე და გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების ნაკლები რისკით.

DRC-ის სასამართლო საარბიტრაჟო განხილვისას წარმოშობილი საჭიროებების შესაბამისად:

I. **ა**დგენს არსებობს თუ არა მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება და დავის განხილვა ექცევა თუ არა DRC-ის კომპეტენციაში;
II. **გ**ანსაზღვრავს არბიტრების რაოდენობას;
III. **ნ**იშნავს არბიტრებს;
IV. **წ**ყვეტს არბიტრთა აცილების და უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებს;
V. **გ**ასწევს ზედამხედველობას, რათა საარბიტრაჟო განხილვა წარიმართოს DRC-ის დებულების შესაბამისად;
VI. **ა**დგენს საარბიტრაჟო განხილვის ადგილს;
VII. **წ**ყვეტს არბიტრების საზღაურის ოდენობას და ხარჯების ანაზღაურების საკითხს;
VIII. **ა**მოწმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

DRC-ის საქმის წარმოების წესები ითვალისწინებს საარბიტრაჟო დავის განხილვას ერთი ან სამი არბიტრის მონაწილეობით. ამასთან, განსხვავებით სხვა მუდმივმოქმედი არბიტრაჟებისაგან, DRC არ ადგენს აუცილებელობას არბიტრი დანიშნული იქნას მისი არბიტრების სიიდან, რაც მხარეებს აძლევს არბიტრების დანიშვნისას მეტ თავისუფლებას.

არბიტრაჟი უფრო სწრაფი და ნაკლებ ხარჯიანია

მონიტორინგი საარბიტრაჟო განხილვაზე

DRC-ის სასამართლო სხვა მუდმივმოქმედი არბიტრაჟებისაგან განსხვავებით ახორციელებს მთელი საარბიტრაჟო განხილვის პროცესის კონტროლს საარბიტრაჟო სარჩელის მიღებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მხარისთვის გადაცემამდე.

საარბიტრაჟო განხილვისას DRC-ის სასამართლო იხილავს საარბიტრაჟო წარმოების მიმდინარეობისას წარმოშობილ საკითხებს და სწავლობს, რამდენად არის მიღებული ზომები მათი სწორად, სწრაფად და საქმის წარმოების წესების შესაბამისად გადაწყვეტის მიზნით. DRC-ის კანცელარია თავის მხრივ უზრუნველყოფს საარბიტრაჟო განხილვისას წარმოდგენილი დოკუმენტების კოპირებას და საარბიტრაჟო განხილვის მონაწილეებისათვის დროულად მიწოდებას, ასევე მხარეთა დროულ ინფორმირებას საარბიტრაჟო განხილვის ეტაპების (მათ შორის განხილვის დღის) შესახებ.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შემოწმება

DRC-ის სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შემოწმება. შემოწმების პროცესი წარმოადგენს მხარეთათვის დამატებითი დაცვის საშუალებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრების მცირე შესაძლებლობებია. DRC-ის სასამართლო ამოწმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმას და გადაწყვეტილების მიღებისას არბიტრთა თავისუფლების ხელყოფის გარეშე ამახვილებინებს მათ ყურადღებას გადაწყვეტილების ცალკეულ პუნქტებზე (შემოწმების ძირითადი მიზანია გამოირიცხოს ტექნიკური შეცდომები, გაუმართავი და ორაზროვანი შინაარსი, საარბიტრაჟო მოთხოვნის ცალკეული საკითხების გადაწყვეტილებაში გამოტოვება და სხვა მსგავსი ხარვეზები). საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემოწმება წარმოადგენს დამატებით გარანტიას საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებული იქნას გარკვეული სტანდარტებით და ნაკ-

ლებად დაექვემდებაროს სასამართლოს მიერ გაუქმებას. ხარისხზე კონტროლის ეს უნიკალური მექანიზმი ზრდის DRC-ის არბიტრაჟისადმი ნდობას.

საარბიტრაჟო დავის ხანგძლივობა

საარბიტრაჟო დავის დაწყებამდე ბევრ კომპანიას აინტერესებს გაარკვიოს თუ რა ხანგძლივობა ექნება საარბიტრაჟო განხილვას. დებულებით განსაზღვრული ვადების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებენ DRC-ის სასამართლო და კანცელარია. საარბიტრაჟო განხილვის პირველი ეტაპი - *DRC-ის სასამართლო კომპეტენციის საკითხის გადაწყვეტა* - მოიცავს პერიოდს 1 დღიდან 14 დღემდე და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად არის შედგენილი საარბიტრაჟო შეთანხმება, კონკრეტულად კი მითითებულია თუ არა დავის განმხილველ ორგანოდ პირდაპირ DRC-ის არბიტრაჟი. მეორე ეტაპი - *არბიტრაჟის ფორმირება* - დამოკიდებულია მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების პირობებზე, ასევე არბიტრთა რაოდენობაზე და მოიცავს 1 დღიდან 30 დღემდე პერიოდს. მესამე ეტაპი - *საარბიტრაჟო განხილვა* - მოიცავს 60 დღემდე პერიოდს და დამოკიდებულია როგორც საქმის სირთულეზე, ასევე იმაზე, დავა იხილება ზეპირი მოსმენით, თუ ზეპირი მოსმენის გარეშე. მეოთხე, დასკვნითი ეტაპი - *გადაწყვეტილების მიღება და მხარეებისათვის გადაცემა* - მოიცავს საარბიტრაჟო განხილვის დასრულებიდან 10 დღეს.

საარბიტრაჟო დავის მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო შეთანხმებაში გაითვალისწინონ, ან დამატებით შეთანხმდნენ DRC-ის დებულებით გათვალისწინებული ვადებისაგან განსხვავებულ ვადებზე. ამასთან, DRC-ის სასამართლოს ანდა არბიტრაჟს შეუძლია იგნორირება გაუკეთოს მხარეთა ამ შეთანხმებას და მოახდინოს გარკვეული ვადების გახანგძლივება.

საარბიტრაჟო შეთანხმების შედგენა

საარბიტრაჟო დათქმის არსებობა და კანონიერება

იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხე არ შემოიტანს საარბიტრაჟო შეპასუხებას ან შეპასუხებაში სადავოს გახდის საარბიტრაჟო დათქმის არსებობას ან არბიტრაჟის კომპეტენციას, მაშინ DRC-ის სასამართლო სწავლობს საარბიტრაჟო დათქმის შესაბამისობას კანონთან და დებულებასთან და იღებს გადაწყვეტილებას კომპეტენციის შესახებ.

იმ შემთხვევაში თუ DRC-ის სასამართლო გადაწყვეტს რომ საარბიტრაჟო განხილვა არ შეიძლება გაგრძელდეს კომპეტენციის სადავობის გამო, მხარეს ეს არ ართმევს შესაძლებლობას მიმართოს სახელმწიფო სასამართლოს თხოვნით დაადგინოს საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად DRC-ის კომპეტენციის საკითხი.

DRC-ის საარბიტრაჟო განხილვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს გაფორმებული აქვთ საარბიტრაჟო შეთანხმება. DRC პირებს, რომელთაც სურთ ქონებრივი დავები განხილულ იქნას DRC-ის არბიტრაჟის მიერ, ურჩევს თავიანთ ხელშეკრულებაში შეიტანონ საარბიტრაჟო დათქმა შემდეგი რედაქციით:

„ნებისმიერი დავა წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით, ექვემდებარება საბოლოო გადაწყვეტას DRC-ის მიერ, DRC-ის საარბიტრაჟო წარმოების წესების (დებულების) შესაბამისად ერთი ან სამი არბიტრის მონაწილეობით, რომელთა დანიშვნაც მოხდება ამავე დებულების შესაბამისად“.

მხარეებისათვის შესაძლოა ასევე სასურველი იყოს საარბიტრაჟო შეთანხმებით გაითვალისწინონ:

- **კანონი, რომლითაც რეგულირდება სახელშეკრულებო ურთიერთობა;**
- **არბიტრთა რაოდენობა;**
- **არბიტრაჟის ადგილი;**
- **არბიტრაჟის ენა და**
- **საარბიტრაჟოს განხილვის ფორმა.**

საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა შედგეს:

ა) წერილობითი ფორმით;

ბ) ნათელი შინაარსით.

ხშირად გაურკვეველი შინაარსის საარბიტრაჟო დათქმები აჭიანურებენ საარბიტრაჟო განხილვას, ზოგჯერ კი საერთოდ გამორიცხავენ მის შესაძლებლობას.

საარბიტრაჟო პროცესი

I. საფეხური: საარბიტრაჟო პრეტენზია

მოსარჩელეს საარბიტრაჟო პრეტენზია თანდართულ დოკუმენტებთან ერთად შეაქვს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის DRC-ის კანცელარიაში, ქ. თბილისში. კანცელარია თითოეულ მოპასუხეს უგზავნის საარბიტრაჟო პრეტენზიის და თანდართული დოკუმენტების თითო ეგზემპლარს. მოპასუხემ საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან 10 დღის ვადაში უნდა მიაწოდოს კანცელარიას საარბიტრაჟო შეპასუხება. საარბიტრაჟო განხილვა დაწყებულად ითვლება საარბიტრაჟო პრეტენზიის მოპასუხისთვის ჩაბარების დღიდან.

II. საფეხური: DRC-ის კომპეტენცია, არბიტრების დანიშვნა

თუ მოპასუხე არ ხდის სადავოს საარბიტრაჟო შეთანხმებას ანდა არბიტრაჟის კომპეტენციას, საარბიტრაჟო განხილვა გაგრძელდება DRC-ის სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების გარეშე. იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე არ წარმოადგენს საარბიტრაჟო შეპასუხებას ან სადავოს გახდის საარბიტრაჟო შეთანხმებას ან DRC-ის კომპეტენციას, DRC-ის სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას შეესაბამება თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება კანონსა და დებულებას და შესაძლებელია თუ არა საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება.

არბიტრაჟის შემადგენლობა განისაზღვრება ერთი ან სამი არბიტრით. როცა საარბიტრაჟო დავა განიხილება ერთი არბიტრის მიერ, მას ნიშნავს DRC-ის სასამართლო საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღებიდან 5 დღის ვადაში.

საარბიტრაჟო დავის სამი არბიტრის შემადგენლობით განხილვისას, მოსარჩელე და მოპასუხე(ები) წარადგენს თითო არბიტრის კანდიდატურას, ხოლო მესამე არბიტრის კანდიდატურას, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს არჩევს DRC-ის სასამართლო. არბიტრებს ნიშნავს DRC-ის სასამართლო. მხარეთა შეთანხმებით შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას არბიტრთა დანიშვნის განსხვავებული წესი.

IV. საფეხური: საარბიტრაჟო განხილვა

საარბიტრაჟო სასამართლო ადგენს ყველა სხდომის და ზეპირი მოსმენის თარიღს, საათს და ადგილს და ამის შესახებ სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე აცნობებს მხარეებს. მხარეთა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ, საარბიტრაჟო სასამართლო შეუდგება წარდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება-გამოკვლევას, რის შემდეგაც გამოაქვს გადაწყვეტილება ან ნიშნავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოცხადების დღეს.

საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე, თუ აღნიშნულის შესახებ მხარეები შეთანხმებულნი არიან წერილობით.

V. საფეხური: გადაწყვეტილების მიღება

საარბიტრაჟო სასამართლო დავაზე გადაწყვეტილებას („საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“) იღებს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 60 დღის განმავლობაში, წერილობითი ფორმით. ერთპიროვნული არბიტრი, ასევე საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე (როცა დავა განიხილა სამმა არბიტრმა) პასუხისმგებელნი არიან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების პროექტი გადასცენ DRC-ს სასამართლოს. DRC-ის სასამართლო არ ზღუდავს არბიტრის თავისუფლებას. DRC-ის სასამართლოს შეუძლია არბიტრის ყურადღება გაამახვილოს ცალკეულ საკითხებზე და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმაზე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელს აწერს არბიტრი და ბეჭდით ამოწმებს DRC-ის კანცელარია.

VI. საფეხური: სააღსრულებო ფურცლის გაცემა

DRC-ს არბიტრაჟის გადაწყვეტილება მხარეს შეუძლია წარუდგინოს სახელმწიფო სასამართლოს ცნობისა და აღიარებისათვის და მოითხოვოს სააღსრულებო ფურცელი.

მის: ვაჟა-ფშაველას ქ. 71, I სართული

ტელეფონი: (995 32) 207 327

ფაქსი: (995 32) 207 327 (1)

MAIL: INFO@DRC-ARBITRATION.GE